

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი № 12

ქ. თბილისი

03.08.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის თანადირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საბჭოს მდივანი;

ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის ელუფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

მანანა მიქაბერიძე - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;

ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი;

რამაზ ჭილაია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის მთავარი მკვლევარი;

გიორგი მუსხელიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი:

ზაზა მარუაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ჭიჭიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი:

პაატა გოგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

პაატა ტურავა - პროგრამის ხელმძღვანელი.

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

თამარ ვეფხვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მანანა მელიქიშვილი - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნატალია ბარათელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

დავით კერესელიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

მაგდა ალანია - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის უნივერსიტეტი:

ლევან ჯაყელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

რომან მამულაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- გიორგი გვალია;
- ტარიელ სიხარულიძე;
- არჩილ აბაშიძე;
- თინათინ ბოჭორიშვილი;
- ციცილო თურქაძე;
- დავით გუბელაძე;
- ეკა ლეკაშვილი;
- დავით სიხარულიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წყლის რესურსების ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიტიური ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა, შესაბამისად დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.



1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა გიორგი გვალიამ და ტარიელ სიხარულიძემ.

- სასურველი იყო პროგრამაში გაზრდილი ყოფილიყო ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენება, განსაკუთრებით სწავლების მე-3 და მე-4 წლებში;
- სასურველი იყო პროგრამაში დარგობრივი ფრანგული ენის სწავლება გათანაბრებული ყოფილიყო ინგლისური ენის სწავლებასთან. აღნიშნულ ეტაპზე, პროგრამაში წარმოდგენილი იყო 4 კურსი დარგობრივი ინგლისური ენის მიმართულებით და მხოლოდ 2 კურსი დარგობრივი ფრანგული ენის მიმართულებით. შესაბამისად, ან უნდა გაზრდილიყო დარგობრივი ფრანგული ენის სწავლება 2 დან 4 კურსამდე, ან გაზრდილიყო კვირეული საათობრივი დატვირთვა 4 დან 8 საათამდე;
- სასურველი იყო აკადემიურ პერსონალს კრიტიკულად გადაეხედა კურსებისათვის „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ და „გლობალური პოლიტიკა“, ასევე „საერთაშორისო ორგანიზაციები“ და „საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი“ მათ შორის შესაძლო თემატური დუბლირების თავიდან აცილების მიზნით და უზრუნველყო თემატიკის ან შეფასების მეთოდების დიფერენცირება;
- სასურველი იყო პროგრამას სავალდებულო კურსის სტატუსით დამატებოდა კურსი პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდების შესახებ (სასურველი იყო მე-7 სემესტრში);

- სასურველი იყო მომხდარიყო შეფასების სისტემის დიფერენცირება ცალკეული კურსების სპეციფიკების შესაბამისად. მაგალითად, კურსში „მოლაპარაკების ხელოვნება“ სასურველი იყო უფრო აქტიურად ყოფილიყო გამოყენებული სიმულაციების და როლური თამაშების (მოლაპარაკებების ქეისები) პრაქტიკა;

- სასურველი იყო კურსის „ახლო აღმოსავლეთი საგარეო პოლიტიკა“ სახელწოდება შეცვლილი ყოფილიყო შემდეგი ვერსიით „ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობები“;

- სასურველი იყო დაწესებულებას უფრო აქტიური ღონისძიებები გაეტარებინა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული, რის შესახებაც 22 ივნისს ოფიციალური წერილით ეცნობა ცენტრს და შემდგომ 5 ივლისს ცენტრში გადაგზავნილი იქნა რეკომენდაციების შედეგად გასწორებული და მოდიფიცირებული დოკუმენტაციის სრული პაკეტი. რეკომენდაციების თანმიმდევრობის მიხედვით გათვალისწინებული იქნა ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატების აუცილებლობა განსაკუთრებით მესამე - მეოთხე კურსზე. რეკომენდაციებში საუბარი იყო იმაზე რომ პროფესიულ, დარგობრივ ინგლისურთან ერთად თანაბარი დოზით ყოფილიყო შეთავაზებული ფრანგული ენაც, შესაბამისად დარგობრივი ფრანგული ენაც დაემატა მესამე - მეოთხე კურსებზე. აგრეთვე სავალდებულო საგნად საბაკალავრო ნაშრომის დაცვამდე, მეშვიდე სემესტრში შემოტანილ იქნა საგანი „შესავალი კვლევის მეთოდებში“. გასწორებულ იქნა დუბლირების საკითხებიც. ასევე საგანს „ახლო აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკა“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობები“.

საბჭოს წევრი გიორგი მუსხელიშვილი დაინტერესდა რის ხარჯზე განხორციელდა ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება, ეხებოდა ეს პედაგოგებს თუ საათების დამატებას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საკითხი ეხებოდა ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურის შემოტანას. კერძოდ, არსებულ ლიტერატურას დაემატა ინგლისურენოვანი ლიტერატურაც. ხოლო, რაც შეეხებოდა დარგობრივ ფრანგულ ენას, ჰქონდათ ფრანგული 1 და ფრანგული 2 და დაემატა ფრანგული 3 და ფრანგული 4. შესაბამისად, დამატებული იქნა საათები, საგანთა გარკვეული ნაწილი გადავიდა არჩევით მოდულში რათა სავალდებულო კომპონენტი განთავისუფლებულიყო ფრანგული ენისათვის.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა, სტუდენტი, რომელიც სწავლობდა ფრანგულ ენას, პარალელურად სწავლობდა თუ არა ინგლისურს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფრანგული გახლდათ მეორე ენა, ხოლო ის სტუდენტი, რომელიც მოდიოდა ფრანგული ენით მეორე ენად შეისწავლიდა ინგლისურს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დამატებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყო თუ არა მიმდინარე პერიოდისათვის.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა წიგნი ჰქონდათ ბიბლიოთეკაში, შესაბამისად მათი არსებობა დასტურდებოდა არა მხოლოდ შესყიდვის დოკუმენტაციით, არამედ მატერიალურად, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საბჭოს წევრი მანანა მიქაბერიძე დაინტერესდა იყო თუ არა განხორციელებული აქტივობები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ვინაიდან აღნიშნული საკითხის სათანადოდ უზრუნველყოფისათვის მუშაობის აუცილებლობას ექსპერტებიც აფიქსირებდნენ რეკომენდაციებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რექტორის ბრძანებით საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტს ჰყავდა ახალი ხელმძღვანელი. მოკლე პერიოდში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა ტალინისა და ზაარბრიუკენის

უნივერსიტეტებთან გაცვლითი პროგრამების და სამომავლოდ ერთობლივი პროგრამების შექმნისა და განხორციელების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რა ტიპის თანამშრომლობას ითვალისწინებდნენ ზემოაღნიშნული მემორანდუმები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ითვალისწინებდნენ მობილობის ხელშეწყობას, როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისათვის. დაწესებულებას საშუალება ექნებოდა ყოველ სემესტრულად გაეშვა ტალინის უნივერსიტეტში ათი სტუდენტი, ვინაიდან დადგენილი იყო პროგრამის თავსებადობა. მეორე კურსიდან განხორციელდებოდა სტუდენტთა გაცვლა, რაც გულისხმობდა იმას, რომ ტალინის უნივერსიტეტიდანაც ჩამოვიდოდნენ სტუდენტები. აგრეთვე აღსანიშნავი იყო ისიც, რომ მემორანდუმის თანახმად ქართველ სტუდენტებს არ მოუწევდათ დამატებითი სწავლის საფასურის გადახდა.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ მიმართა ექსპერტს დაეხუსტებინათ რას გულისხმობდა რეკომენდაცია „სასურველი იყო პროგრამას სავალდებულო კურსის სტატუსით დამატებოდა კურსი პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდების შესახებ“.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა არ ითვალისწინებდა აღნიშნულ კურსს, ხოლო რეკომენდაციის შემდეგ მოხდა მისი დამატება. ცვლილება რეალურად იქნა განხორციელებული ვინაიდან ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება ეხილათ აღნიშნული კურსის სილაბუსი.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ მიმართა ექსპერტს, როგორ წარმოედგინა პროგრამა, რომელიც არ ითვალისწინებდა კვლევის მეთოდებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სწორად აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით იყო შემუშავებული მითითებული რეკომენდაცია.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაერთიანებული ჰქონდათ აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები, ვინაიდან მეოთხე კურსზე სტუდენტს მოუწევდა საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა. ექსპერტების მართებული რეკომენდაციის შედეგად კი განხორციელდა აკადემიური წერის და კვლევის მეთოდების ცალ-ცალკე კურსებად გამიჯვნა. თითოეული კურსი მოიცავდა 5 კრედიტს.

საბჭოს წევრი გიორგი მუსხელიშვილი დაინტერესდა რეკომენდაციით, რომელიც ეხებოდა შეფასების სისტემის დიფერენცირებას.

ექსპერტმა განმარტა, რომ დოკუმენტებზე მუშაობის დროს, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთ კურსში შეფასების სისტემა იყო ერთმანეთის მსგავსი და სრულად არ შეესაბამებოდა სწავლის შედეგებს. მაგალითად, შესაძლებელი იყო მოლაპარაკების კურსი შესწავლილი ყოფილიყო თეორიულად პრაქტიკული კომპონენტის გარეშე, თუმცა საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე ეს არ იყო მიზანშეწონილი. სასურველი იქნებოდა მოლაპარაკების უნარის შესაფასებლად გამოყენებული ყოფილიყო სიმულაციური და როლური თამაშების კომპონენტი. შესაბამისად რეკომენდაციის გათვალისწინებამ მცირედით შეცვალა შეფასების სისტემა.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ რეკომენდაციაში ასე დეტალურად არ იყო განმარტებული სიმულაციური და როლური თამაშების შეფასების კომპონენტად გამოყენების დანიშნულება, რაც არღვევდა თავად რეკომენდაციის ლოგიკურობას და სწორედ ამან გამოიწვია მისი მოსაზრებით საბჭოს წევრის შეკითხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.



2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა გიორგი გვალიამ და ტარიელ სიხარულიძემ.

- სასურველი იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურის ჩართვა სასწავლო პროცესში;
- სასურველი იყო საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების კურსის ჩართვა პროგრამის სავალდებულო კომპონენტში;
- სასურველი იყო პროგრამის სავალდებულო კომპონენტში წარმოდგენილ კურსს, „გენდერი და პოლიტიკა“ ჰქონოდა ბმა პროგრამის სპეციფიკასთან და გენდერის საკითხები განხილული ყოფილიყო საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ჭრილში და კონკრეტულად კი, იმ დებატების ფონზე, რასაც ადგილი ჰქონდა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი სხვადასხვა მეთოდოლოგიურ და თეორიულ მიდგომებს შორის;
- სასურველი იყო კურსი „სამოქალაქო საზოგადოება შედარებითი ანალიზი“ ასევე ყოფილიყო ორიენტირებული და ბმამი საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემეტიკასთან და სავალდებულო კურსებიდან გადანაცვლებული ყოფილიყო არჩევით კურსებში;
- სასურველი იყო კურსს „კონფლიქტების მართვა და ანალიზი“ არჩევითის ნაცვლად მინიჭებული ჰქონოდა სავალდებულო კურსის სტატუსი;
- სასურველი იყო პროგრამაში (თუნდაც არჩევითი კურსის სტატუსით) შეტანილი ყოფილიყო კურსი, რომელიც დაფარავდა ევროკავშირის საკითხებს (ევროკავშირის პოლიტიკა, ევროკავშირი

როგორც გლობალური აქტორი, და ა.შ.). ასევე, სასურველი იყო პროგრამას დამატებოდა საერთაშორისო უსაფრთხოების კურსის სტატუსი;

- შეფასების სისტემა კურსებში იყო ერთნაირი და მოიცავდა ერთი და იგივე შეფასების კომპონენტებს. სასურველი იყო შეფასების სისტემა ყოფილიყო ცვალებადი კურსების მიხედვით, რაც უნდა ყოფილიყო სასწავლო კურსების მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე;

- კურსში „საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები“ გასაახლებელი იყო რიდერი, რომელიც ძირითადად ეფუძნებოდა ზ. დავითაშვილის წიგნს, „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“ (2003). იგივე წიგნი მითითებული იყო სავალდებულო ლიტერატურად კურსში „გლობალიზაცია და ნაციონალიზმი“;

- სასურველი იყო სილაბუსებში აღნიშნული ყოფილიყო, თუ რომელ ლექციაზე ჰქონდათ სტუდენტებს ისეთი პრაქტიკული კომპონენტები, როგორც იყო: როლური თამაშები, სიმულაციები, შემთხვევის ანალიზი;

- კურსებში „გლობალიზაცია და ნაციონალიზმი“, „საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები“ და „გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი“ იკვეთებოდა გარკვეული თემების დუბლირება. სასურველი იყო აკადემიურ პერსონალს კრიტიკულად გადაეხედა ზემოაღნიშნული კურსებისათვის მათ შორის დუბლირების თავიდან აცილების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლიტერატურის დამატება განხორციელებული იყო ისეთივე ფორმით, როგორც საბაკალავრო პროგრამაზე, ასახული იქნა სავალდებულო და არჩევით ლიტერატურაში. რაც შეეხებოდა თეორიების საკითხს, კურსი საერთაშორისო თეორიები პროგრამაში შეტანილ იქნა სავალდებულო კომპონენტად. ორი არჩევითი საგანი, როგორც იყო „გენდერი და პოლიტიკა“ და „სამოქალაქო საზოგადოება - შედარებითი ანალიზი“, აღნიშნულ ორ კურსში გამრავალფეროვნებული იქნა თემატიკა საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებით. სასწავლო საგანი „კონფლიქტების მართვა და ანალიზი“ არჩევითი ბლოკიდან გადატანილ იქნა სავალდებულო კომპონენტში. დამატებული იქნა საგანი ევროკავშირის პოლიტიკის სახელწოდებით. შეცვლილი იქნა შეფასების ფორმები, რაც ასახულ იქნა სილაბუსებში. ასევე გასწორებული იქნა დუბლირების საკითხები. შესაბამისად ექსპერტების მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია იქნა გაზიარებული და შესაბამისი ცვლილებები განხორციელებული.

საბჭოს წევრის ნათელა სახოკიას მოსაზრებით შენიშვნები გახლდათ საკმაოდ მძიმე, მაგალითად: ექსპერტების რეკომენდაციები ითვალისწინებდა არა უბრალოდ ლიტერატურის დამატებას, არამედ მათ ჩართვას სასწავლო პროგრამაში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია მოიაზრებდა ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატებას.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ ასევე აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო რატომ გაჩნდა პროგრამაში საგანი „გენდერი და პოლიტიკა“ და „სამოქალაქო საზოგადოება - შედარებითი ანალიზი“, როდესაც იგი არ იყო კავშირში საერთაშორისო ურთიერთობებთან, მაგრამ მოხდა მათი დაკავშირება. მისთვის ასევე გაუგებარი იყო როგორ შეიძლებოდა საერთაშორისო უსაფრთხოების კურსი არ ყოფილიყო გათვალისწინებული, როდესაც იქმნებოდა საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა, ანალოგიურად მძიმე შენიშვნა იყო რიდერთან დაკავშირებით, როდესაც ორი სხვადასხვა კურსი ეფუძნებოდა ერთსა და იმავე რიდერს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რიდერთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს. აღნიშნული უზუსტობის შესახებ დაწესებულებამ მიმართა წერილით ცენტრს. რაც შეეხებოდა კონფლიქტებს, ეს საკითხი სხვადასხვა საგანში იყო ჩაშლილი, თუმცა მოხდა მისი გამოტანა ცალკე საგნად ვინაიდან მას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გლობალური პოლიტიკაში. ეს უკანასკნელი სტუდენტს საშუალებას მისცემდა შეესწავლა მსოფლიო პოლიტიკაში განვითარებული თანამედროვე ტენდენციები. რაც შეეხებოდა რიდერს,

ზ. დავითაშვილის წიგნი „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“ საფუძვლად ედო ამავე სახელწოდების საგანს, საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხების მიმართულებით კი იყენებდნენ არტი და ჯერვისის წიგნს.

საბჭოს წევრი ლევან გორდუზიანი დაინტერესდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამას ახორციელებდა 11 აკადემიური პერსონალი. საწყის ეტაპზე ვარაუდობდნენ საბაკალავრო პროგრამაზე არაუმეტეს 30 სტუდენტის მიღებას. მიაჩნდათ რომ პირველი კურსისათვის ჰყავდათ საკმარისი აკადემიური პერსონალი, პროგრამაში ასევე ჩაერთვებოდნენ მოწვეული პროფესორებიც.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა სამაგისტრო პროგრამაზე რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ და რა ჰქონდათ მიღების წინაპირობად.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მაგისტრატურაში გეგმავდნენ ათი სტუდენტის მიღებას, ხოლო წინაპირობა იქნებოდა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა და საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის კვალიფიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სამაგისტრო საფეხურზე ათი სტუდენტი შეძლებდა თუ არა პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ათი სტუდენტი საკმარისი იყო პროგრამის ფინანსური მდგრადობისათვის ვინაიდან სწავლის საფასური განისაზღვრებოდა 3 000 ლარის ოდენობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ.

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა არჩილ აბაშიძემ.

- სასურველი იყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ეზრუნა პროგრამაში უნივერსიტეტის მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვაზე, იმისათვის რომ პროგრამა მნიშვნელოვანწილად არ ყოფილიყო დამოკიდებული მოწვეულ პერსონალზე. სამართლის მიმართულებით წარმოდგენილი 11 კურსიდან, ყველა კურსს კითხულობდა მოწვეული ლექტორი;
- პროფესიული პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტში (18 კრედიტი) სპეციალობით მომუშავე სტუდენტებისათვის სასურველი იყო პროგრამას გაეთვალისწინებინა კრედიტების დაგროვების სხვა გზებიც. მაგალითად: არჩევითი საგნებით კრედიტების დაგროვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროგრამით არ დაინტერესდებოდნენ საჯარო სექტორში უკვე დასაქმებული პირები, მათ უბრალოდ არ ექნებოდათ დრო და მოტივაცია გაეცლოთ პრაქტიკა. ამით პროგრამა კარგავდა პოტენციურ სტუდენტს;
- სასურველი იყო პროგრამას დამატებოდა არჩევითი საგნები, რათა სტუდენტს მეტი არჩევანი ჰქონოდა. მაგალითად: დამატებოდა საგნები - ადამიანური რესურსების მართვის, სოციალური პოლიტიკის, ჯანდაცვის პოლიტიკის სფეროდან. ამისათვის შესაძლებელი იყო უნივერსიტეტში არსებული სხვა სამაგისტრო პროგრამების რესურსის (არჩევითი საგნების) პროგრამაში ჩართვა;
- სავალდებულო სალექციო კურსის „ეფექტური კომუნიკაციის სამართლებრივი საშუალებები“ სილაბუსში, საჭირო იყო ლიტერატურის მითითება. წარმოდგენილ სილაბუსში მითითებული

იყო მხოლოდ რამდენიმე ნორმატიული აქტი. მაშინ როდესაც, ქართულ ენაზე უკვე არსებობდა ტექსტები, რომელშიც განხილული იყო სილაბუსში შეტანილი საკითხები. მაგ: ელექტრონული მმართველობა;

- სალექციო კურსი „პოლიტოლოგია“ მარტივ, ბაკალავრიატის საფეხურის დონის საკითხებს მოიცავდა და გამოყენებული ძირითადი ლიტერატურაც ნაკლებად იყო სამაგისტრო საფეხურისათვის განკუთვნილი. აღნიშნული საგანი ისწავლებოდა მეორე სემესტრში, ხოლო პირველ სემესტრში პროგრამა ითვალისწინებდა სავალდებულო საგანს „ხელისუფლების თეორიები“, რომელიც უფრო სიღრმისეულად განიხილავდა რამდენიმე იგივე საკითხს (მაგ: პოლიტიკური იდეოლოგიები). სასურველი იყო სალექციო კურსი „პოლიტოლოგია“ გადასულიყო პირველ სემესტრში, ან მასში შესული საკითხები (და შესაბამისად ლიტერატურაც) უფრო მრავალფეროვანი და კომპლექსური გამხდარიყო;

- უნივერსიტეტს უნდა ეზრუნა საჯარო დაწესებულებებთან მემორანდუმების გაფორმებაზე (ამჟამად არსებობდა მხოლოდ 4 მემორანდუმი). პროგრამა ვალდებულებას იღებდა პრაქტიკაზე გაეგზავნა ყველა სტუდენტი. ამისათვის საჭირო იყო მეტი თანამშრომლობა საჯარო დაწესებულებებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თავდაპირველად ისაუბრებდა მემორანდუმებზე, რომელიც გაფორმებული ჰქონდათ იმ სტრუქტურებთან, ვისთანაც საჯარო მმართველობის მოხელეს უნდა ეთანამშრომლა. ეს გახლდათ საჯარო სამსახურის ეროვნული ბიურო, საჯარო რეესტრი, ქ. თბილისის საკრებულო და სურსათის უვნებლობის სააგენტო. აღნიშნული მემორანდუმები საჭირო იყო პრაქტიკის კომპონენტის განსახორციელებლად, რომელიც გათვალისწინებული იყო მესამე სემესტრში. პროგრამაზე იგეგმებოდა მაქსიმუმ 25 ადამიანის მიღება და არსებული მემორანდუმები მათი მოსაზრებით საკმარისი იქნებოდა ამ რაოდენობისათვის, თუმცა დაწესებულება იზიარებდა რეკომენდაციას და სამომავლოდ განხორციელდებოდა კიდევ უფრო მეტი მემორანდუმის გაფორმება.

წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა ძლიერი სამართლის სკოლა. უნივერსიტეტში ხორციელდებოდა სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. სამართლის მიმართულებით უნივერსიტეტს ჰყავდა მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი. სამართლის მონათესავე სფეროში, კერძოდ საჯარო მმართველობაში პროგრამის შემუშავება მოიაზრებდა აკადემიური პერსონალის გაზრდას, დაგეგმილი ჰქონდათ აღნიშნული მიმართულებით კონკურსის გამოცხადება და ახალი გუნდის შექმნა. პროგრამაში მძლავრად იყო წარმოდგენილი საგნები სამართლის მიმართულებით და მიიჩნევდნენ, რომ აღნიშნულ სფეროში მათ არ შეექმნებოდათ პრობლემები აკადემიური პერსონალის თვალსაზრისით.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი პროგრამის სამართლის საგნებით ისე გაძლიერება რომ პროგრამა აცდენილიყო მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საინტერესო იყო ექსპერტების მოსაზრება პრაქტიკასთან დაკავშირებით. პროგრამაზე შესაძლებელი იყო ჩარიცხულიყო შემდგარი პრაქტიკოსი, რომელსაც თეორიული ცოდნის მიღება სურდა და ასეთ სტუდენტს შესაძლოა არ ჰქონოდა პრაქტიკის გავლის სურვილი. ეს უკანასკნელი კი პროგრამაში ჩადებული იყო სავალდებულო კომპონენტის სახით. ამას შეიძლებოდა გამოეწვია ის, რომ პრაქტიკოს პირებს არ გასჩენოდათ აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის სურვილი. დაწესებულებას კარგად ესმოდა აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტების პოზიცია. მათი აზრით, ერთი მხრივ კარგი იქნებოდა პრაქტიკის ალტერნატივის შეტანა პროგრამაში და პრაქტიკის მაგივრად არჩევითი საგნების შეთავაზება, მაგრამ მეორეს მხრივ - მაგალითისათვის შესაძლებელი იყო პროგრამაზე ჩარიცხულიყო ისეთი სტუდენტი, რომელიც მუშაობდა პროკურატურაში, ასეთ დროს უნივერსიტეტს გაუჭირდებოდა იმის იდენტიფიცირება, თუ რამდენად ფლობდა აღნიშნული

სტუდენტი იმ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც მას პრაქტიკული კომპონენტის გავლის შედეგად უნდა გამოემუშავებინა. ყველა თანამდებობა არ ავითარებდა საჯარო მმართველობის სპეციალისტისათვის აუცილებელ უნარებს. არსებული მომენტისათვის პროგრამის მესვეურებს არ ჰქონდათ ზუსტი პასუხი აღნიშნული გამოწვევისათვის, თუმცა დაწესებულება იფიქრებდა ექსპერტების რეკომენდაციაზე.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით დაწესებულების პოზიცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მართებული იყო და რეკომენდაცია არ იყო სწორი, ვინაიდან სტუდენტს შესაძლოა ემუშავა რეგისტრატურაში, ხოლო დაწესებულებას შეეთავაზებინა პრაქტიკა პარლამენტის რომელიმე კომიტეტში, რაც მას სრულიად სხვა გამოცდილებას შესძენდა და განუვითარებდა განსხვავებულ უნარებს.

პოლიტოლოგიის სალექციო კურსთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე დაწესებულებამ აღნიშნა, რომ სილაბუსის ავტორი გახლდათ ვაჟა ლორთქიფანიძე, რომელმაც განაცხადა, რომ თუ ექსპერტები თემატიკასა და ლიტერატურასთან დაკავშირებით გამოთქვამდნენ განსხვავებულ მოსაზრებას, ის მზად იყო გაეზიარებინა მათი რეკომენდაცია და დაწესებულებას შესთავაზა თემატიკის გადახალისებული ვარიანტი და სილაბუსში მიუთითა რამდენიმე განსხვავებული ლიტერატურა.

რაც შეეხებოდა არჩევით საგნებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზოგადად პროგრამის სავალდებულო და არჩევითი საგნების ერთობლიობა გადიოდა საბოლოო შედეგზე, თუმცა დაწესებულებამ მაინც მიზანშეწონილად ჩათვალა გაეთვალისწინებინათ რეკომენდაცია არჩევითი საგნების დამატებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტს ჰქონდა სათანადო რესურსი, სამი მიმართულებით, კერძოდ, პოლიტიკის, სამართლის და ქრონიკის პროგრამების საფუძველზე შესაძლებელი იყო საგნების დამატება. შესაბამისად აღნიშნული მიმართულებით უკვე მიმდინარეობდა მუშაობა. აღსანიშნავი იყო, რომ აკადემიური საბჭოს წევრები იმყოფებოდნენ შევებულებაში და საგნების შერჩევაზე და დამატებაზე მუშაობა დაიწყებოდა 18 სექტემბრიდან, როდესაც განახლდებოდა სასწავლო პროცესი.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა აიყვანდნენ თუ არა დამატებით აკადემიურ პერსონალს ერთ წელიწადში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა გარკვეული მიზნები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, პროგრამა გამყარებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი პერსონალით, შესაბამისად უახლოეს მომავალში გამოცხადდებოდა კონკურსი და იზრუნებდნენ პროგრამაში ადგილობრივი აკადემიური პერსონალის ჩართვაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როგორც წარმომადგენელმა აღნიშნა იურიდიული პროგრამების მიმართულებით ჰქონდათ ადგილობრივი აკადემიური რესურსი, ხოლო საჯარო მმართველობის პროგრამაზე უწევდათ მოწვეული რესურსის გამოყენება. მას აინტერესებდა თუ რით იყო გამოწვეული ასეთი მიდგომა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ უწევდათ არა მხოლოდ სამართლის სპეციალისტების ჩართვა პროგრამაში, არამედ უშუალოდ საჯარო მმართველობის მიმართულების სპეციალისტების მოწვევაც. აქედან გამომდინარე მათ უწევდათ გარკვეული პროფესიონალების მოზიდვა და მოწვეულის სტატუსით მათი პროგრამაში ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა უნივერსიტეტს იმის გარანტია, რომ მოწვეული პროფესორები ნამდვილად ჩაერთვებოდნენ პროგრამაში და ბოლომდე გაჰყვებოდნენ მას. მოწვეულ პერსონალთან კონტრაქტის ვადა მოქმედებდა მანამ სანამ პროგრამა მიიღებდა აკრედიტაციას, აკრედიტაციის მიღების შემდგომ დაწესებულებას მოუწევდა მათთან ახალი კონტრაქტების გაფორმება, თუმცა აღნიშნულ პროცესში ბევრ მათგანს შეეძლო უარი ეთქვა მათთან თანამშრომლობის გაგრძელებაზე. მისი მოსაზრებით კარგი იყო, რომ ცდილობდნენ ცნობილი პიროვნებების ჩართვას, თუმცა გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ ასეთი

ადამიანების მოზიდვას ცდილობდა არაერთი უნივერსიტეტი, მათ ჰქონდათ სხვა დამოუკიდებელი აქტივობებიც, რაც ზრდიდა იმის რისკს, რომ რომელიმე მათგანს შესაძლოა უარი ეთქვა პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მიღებაზე თუნდაც დროის სიმცირის გამო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მართლაც ცდილობდა დარგში ცნობილი პიროვნებების მოზიდვას, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა პროგრამისათვის. მათ გააზრებული ჰქონდათ აღნიშნული რისკიც, ამიტომაც აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰყავდა აკადემიური პერსონალი და მსგავსი რისკის გამართლების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოხდებოდა მათი ჩანაცვლება.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა პირველ რიგში დაყრდნობოდნენ მოქმედ აკადემიურ პერსონალს, ხოლო როდესაც დაიწყებდნენ სწავლების განხორციელებას მოიწვევდნენ ცნობილ პიროვნებებს იმისათვის, რომ პროგრამა გამხდარიყო უფრო მეტად მიმზიდველი და მარკეტინგულად გამართლებული.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას სილაბუსებში ორი ლექტორის მითითების პრაქტიკა. ასეთ დროს ერთის არ ყოფნის შემთხვევაში, მივლინებაში ყოფნის დროს ან საგნის წაკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, მეორე ლექტორი იღებდა საგნის წაკითხვის ვალდებულებას. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ მსგავსი პრაქტიკა არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მესამე შენიშვნა მისი მოსაზრებით იყო უმძიმესი, ვინაიდან როდესაც საჯარო მოხელეს არ ასწავლიდნენ სოციალურ პოლიტიკას სავალდებულო საგნად და ამაზე პროგრამის შემმუშავებლებს არ ჰქონდათ ნაფიქრი, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საჯარო მმართველობის მოხელის ნაცვლად პროგრამას გამიზნული ჰქონდა სამართლის სპეციალისტების აღზრდა. ასევე ეფექტური კომუნიკაციის სამართლებრივი საფუძვლების ნაცვლად უნდა ესწავლებინათ ეფექტური კომუნიკაცია იმისათვის რომ საჯარო მმართველობის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ჰქონოდა ჩამოყალიბებულიყო საჯარო მოხელედ. იურიდიული განათლება კი არ იყო აუცილებელი საჯარო მოხელის ჩამოყალიბებისათვის.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას ჰქონდა სამი მიმართულება: სამართლებრივი საფუძვლები, პოლიტიკა და ეკონომიკა. სოციალური პოლიტიკის საკითხები გაბნეული იყო სხვადასხვა საგნებში. სოციალურ პოლიტიკაზე მეტად მისი მოსაზრებით გარემოს დაცვა გახლდათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, ასევე ჯანდაცვა, მშენებლობა, და ა.შ. არსებობდა ძალიან ბევრი სფერო, რომელსაც პროგრამა მთლიანად ვერ მოიცავდა ვინაიდან ამას ჭირდებოდა სათანადო რესურსი.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა პროგრამაზე მიღების წინაპირობებით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის სურვილი შეიძლებოდა ჰქონოდა ეკონომისტს, ფილოლოგს, პოლიტოლოგს და სხვა სპეციალობის მქონე პირს. პროგრამაზე მიღების მიზნით, აპლიკანტთან შედგებოდა კომბინირებული გასაუბრება სპეციალობაში, რომელიც მოიცავდა ეკონომიკის და სამართლის საფუძვლების საკითხებს. ასევე ითხოვდნენ უცხო ენის B2 დონეზე ცოდნას.

საბჭოს წევრმა მანანა მიქაბერიძემ განაცხადა, რომ მოწვეული პერსონალის არსებობა აღნიშნული პროგრამისათვის შესაძლებელი იყო მიეჩნიათ ძლიერ მხარედ, ვინაიდან მოწვეულ პირებს შორის იქნებოდნენ პრაქტიკოსები, რომლებიც კარგად ერკვეოდნენ საჯარო მმართველობის სფეროში. თუ ისიც მოხერხდებოდა, რომ მათ გვერდით დადგომოდნენ ადგილობრივი კადრები, პროგრამას გარანტირებული იქნებოდა წარმატება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ნამდვილად გამოხატავდნენ თუ არა მზაობას ორგანიზაციები არსებულ მემორანდუმებში, რომ მათ სტრუქტურებში პრაქტიკის განსახორციელებლად მიეღოთ აღნიშნული პროგრამის სტუდენტები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრაქტიკის გავლა ხორციელდებოდა მემორანდუმით და მას ახლდა პრაქტიკის სილაბუსი, სადაც დაწვრილებით იყო გაწერილი ყველა კომპონენტი, ხოლო მემორანდუმი ნათლად ასახავდა სტრუქტურის მზაობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს წევრებმა: ნათელა სახოკიამ და გიორგი მუსხელიშვილმა.

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს სხდომაზე 17:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.  
სხდომა განახლდა 17:50 საათზე.

17:50 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა მანანა მიქაბერიძემ.

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰიდროლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით თვითაცილება განაცხადეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: რამაზ ჭილაიამ, ლევან გორდეზიანმა და ნანა შათაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ციცილო თურქაძემ და დავით გუბელაძემ.

- სასწავლო კურსებში შუალედური შეფასების კომპონენტი იყო პრაქტიკული სამუშაოების შეფასება, რისთვისაც გამოიყენებოდა გამჭვირვალე კრიტერიუმები. სასურველი იყო აღნიშნულ შეფასებას უფრო მეტი კონკრეტული გათვალისწინებინა თითოეული პრაქტიკული სამუშაოს შეფასება;

- სწავლის შედეგების ერთერთი კომპონენტი იყო კომუნიკაციის უნარი. სასწავლო კურსების ნაწილში მეცადინეობაზე დასწრების შეფასება ემსახურებოდა კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და შეფასებას, რის გამოც რეკომენდირებული იყო აღნიშნული შეფასების მოდერნიზება და წარმოდგენა კომუნიკაციის უნარის შუალედური შეფასების სახით;

- სასურველი იყო კურიკულუმში წარმოდგენილი ყოფილიყო კომპეტენციათა განაწილების რუკა (სქემა) სასწავლო კურსების მიხედვით, რაც გაზრდიდა დაინტერესებული პირების ინფორმირებულობას და ხელს შეუწყობდა პროგრამის სწავლის შედეგების (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ურთიერთკავშირის) კომპლექსურ და სისტემურ წარმოდგენას;

- პროგრამის აქტუალობიდან გამომდინარე, სასურველი იყო შესაბამის სასწავლო კურსებში (მაგ: წყლის რესურსების ეკოლოგია, წყლის რესურსების გამოყენება, კლიმატის ცვლილება) მეტი

ყურადღება დათმობოდა მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებს, წყლის რესურსების მართვისა და კლიმატის ცვლილებების საკითხებში ევროკავშირის მიდგომების მიმოხილვას და ანალიზს, ევროკავშირის იმ დირექტივების შესწავლას, რომლებიც წარმოადგენდნენ თანამედროვე მიდგომებს და რომელთა შესრულების ვალდებულება აღებული ჰქონდა საქართველოს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქართველოში საკმაოდ მნიშვნელოვანი გახლდა წყლის რესურსების და მასთან დაკავშირებული პრობლემების საკითხი. მიიჩნეოდა, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჰქონდა წყლის დიდი რესურსი, თუმცა სტატისტიკურად დადგენილ იქნა, რომ თუ არ განხორციელდებოდა წყლის ინტეგრირებული მართვა, უახლოეს მომავალში საქართველოს შეექმნებოდა წყლის დეფიციტი.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა, თუ რას შეეძლო გამოეწვია წყლის რესურსის კლება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კლიმატის ცვლილება განაპირობებდა წყლის რაოდენობის კლებას. წინა წელს წყლის ოდენობა განისაზღვრებოდა 50 კუბით, ხოლო მიმდინარე წელს საგრძნობლად შესამჩნევი იყო მისი კლება. დასავლეთ საქართველოში იგეგმებოდა ჰიდრო ელექტროსადგურების მშენებლობა, თუმცა წყლის აუდიტის განხორციელების შემდგომ დადგინდა წყლის რაოდენობის შემცირების ტენდენცია, რაც შეუძლებელს ხდიდა სადგურების მშენებლობის პროექტების განხორციელებას. პროგრამის შექმნის წინაპირობა გახლდათ ჰოლანდიელებთან ერთად გრანტის მოპოვება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა კურსები როგორც საქართველოში ასევე ჰოლანდიაში და არსებული პრობლემატიკიდან გამომდინარე, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის კადრების მომზადების მიზნით, შეიქმნა სამაგისტრო პროგრამა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულ კათედრას გავლილი ჰქონდა დიდი სკოლა რომელსაც ხელმძღვანელობდა აღნიშნული დარგის მოწინავე სპეციალისტი აკადემიკოსი გივი სვანიძე. დარგი განიცდიდა კადრების დეფიციტს. კათედრას ჰქონდა ლაბორატორია სვანიძის ქუჩაზე, რომელიც იძლეოდა კატასტროფული მოვლენების პროგნოზირებას, თუმცა ვერეს ხეობაში დატრიალებული ღვარცოფის შედეგად ლაბორატორია დაინგრა. ლაბორატორიას ჰქონდა 50-60 წლის განმავლობაში შემუშავებული დაკვირვებები ვერეს ხეობაში მოსალოდნელი მოვლენების შესახებ, თუმცა სათანადო უწყებების მიერ არ მოხდა მათ მიერ შედგენილი პროგნოზების გათვალისწინება. შესაბამისად აღნიშნულ დარგში კადრების მომზადება მნიშვნელოვანი იყო დარგის განვითარებისა და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო დამსაქმებელი, ვინ აღიარებდა აღნიშნული დარგის სპეციალისტებს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებობდა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სამინისტრო, რომელიც საჭიროებდა მსგავს კადრებს. ეს გახლდათ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, გარემოს დაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ა.შ.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა ჰყავდა თუ არა პროგრამას კვალიფიციური აკადემიური პერსონალი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კათედრამ აღადგინა მოღვაწეობა 2006 წლიდან. ის დაკომპლექტებული იყო მაღალი დონის სპეციალისტებით და მას შემდეგ ფუნქციონირებდა უწყვეტ რეჟიმში, უნივერსიტეტში განხორციელებული რეფორმების მიუხედავად.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ მიმართა წარმომადგენელს ესაუბრა ექსპერტების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსებში ევროკავშირის დირექტივებზე და ტექნიკურ რეგლამენტზე ყურადღების გამახვილებას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია მიღებული იყო, აღნიშნული საკითხები ჩადებული იყო სხვადასხვა სასწავლო კურსებში, თუმცა მოხდებოდა აღნიშნული

დირექტივების და ტექნიკური რეგლამენტის გათვალისწინება ექსპერტების მიერ მითითებულ საგნებშიც.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გულისხმობდა გარემოსდაცვით საკითხებში ტექნიკური რეგლამენტების გათვალისწინებას, რაც შეეხებოდა წყლის რესურსების მიმართულებით აღნიშნული დირექტივები გათვალისწინებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ლაბორატორიული სამუშაოების გარდა, სტუდენტები თუ მონაწილეობდნენ გასვლით სავლე სამუშაოებში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როგორც აღინიშნა მათ ჰქონდათ ლაბორატორია სვანიძის ქუჩაზე, რომელიც სტიქიის შედეგად განადგურდა. თუმცა მერიამ მათ დაუბრუნა ფართი დამტკიცებული პროექტით, ხოლო გარემოს დაცვის სამინისტროს დახმარებით ლაბორატორია აღჭურვილი იქნა თანამედროვე ტექნიკით. შესაბამისად მათ ლაბორატორიაში კვლავ მიმდინარეობდა ვერეს ხეობის მონიტორინგი. რაც შეეხებოდა პრაქტიკის უზრუნველყოფას, სტუდენტებისათვის გათვალისწინებული იყო სავლე სამუშაოები, ასევე გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმები სხვადასხვა კვლევით ლაბორატორიებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიტიური ფსიქოლოგიის - ემპირიული კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	პოზიტიური ფსიქოლოგია - ემპირიული კვლევები
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით თვითაცილება განაცხადეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: რამაზ ჭილაიამ, ლევან გორდეზიანმა და ნანა შათაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თინათინ ბოჭორიშვილმა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ კმაყოფილი გახლდა ვიზიტით, დახვდა იმაზე კარგი სიტუაცია ვიდრე ელოდა განათლებისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ვიზიტის განხორციელებისას. მასაც აღნიშნული ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და იყო სასიხარულოდ გაცემული როდესაც ნახა რომ წინა წლებთან შედარებით სახეზე იყო პროგრესი. ვიზიტის პროცესში გაიმართა შეხვედრები ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან და პოტენციურ დოქტორანტებთან. განსაკუთრებული სიმპათია დაიმსახურეს პოტენციურმა დოქტორანტებმა, რომლებიც აპირებდნენ კონკურსში მონაწილეობის მიღებას და მისი მოსაზრებით თუ ისინი გაივლიდნენ კონკურსს შეძლებდნენ სამომავლოდ გაეგრძელებინათ ფსიქოლოგიის დარგის ტრადიციები. რაც შეეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამას და სილაბუსებს, იყო საკმაოდ საინტერესო, სფერო გახლდათ ახალი, პროგრამას ეტყობოდა რომ არ იყო შემუშავებული მოკლე პერიოდში, ჩანდა რომ მასზე წლების მანძილზე მიმდინარეობდა მუშაობა და ყოველი კომპონენტი იყო კარგად გააზრებული.

ექსპერტის განმარტებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზიდან აღსანიშნავი იყო ბიბლიოთეკა, რომელიც შევსებული იყო თანამედროვე ლიტერატურით და იყო კარგად ორგანიზებული გარემო სტუდენტებისათვის. ექსპერტთა ჯგუფს პროგრამასთან მიმართებით არ ჰქონიათ რეკომენდაციები, ვინაიდან პროგრამა თავისი რესურსით აკმაყოფილებდა ყველა სტანდარტს. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდიდან მათ მიერ მიღებული გრანტი, რაც პირველ ეტაპზე შეუწყობდა ხელს მის უწყვეტ ფუნქციონირებას.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა, რა გახლდათ პოზიტიური ფსიქოლოგიის არსი და სად ექნებოდათ კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პოზიტიური ფსიქოლოგია გახლდათ ახალი დარგი არამხოლოდ საქართველოს არამედ საერთაშორისო სივრცეშიც. აღნიშნული მიმდინარეობა არაერთ ქვეყანაში აღიარებული იყო როგორც ცალკე დარგი. საკვლევ თემას წარმოადგენდა ის ძირითადი ფაქტორები, რაც ადამიანის ფსიქოლოგიურ და სუბიექტურ კარგად ყოფნას უწყობდა ხელს. აღნიშნულ პერიოდამდე ფსიქოლოგიის ამოსავალი წერტილი გახლდათ ადამიანის ნეგატიური ფსიქოემოციური მდგომარეობა და სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობები. ეს მიმართულება კი შეისწავლიდა, თუ რა იწვევდა ადამიანის პოზიტიურ განწყობას. რაც შეეხებოდა დასაქმებას, ვინაიდან პროგრამა ითვალისწინებდა მკვლევარების მომზადებას, ერთერთი მნიშვნელოვანი დამსაქმებელი გახლდათ კავკასიის კვლევითი რესურსცენტრი კობა თურმანიძის ხელმძღვანელობით, რომელიც აქტიურად ასაქმებდა განათლებისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს.

საბჭოს წევრი ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა თუ რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გეგმავდნენ ექვსი სტუდენტის მიღებას.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა კონკრეტულად რას სწავლობდა პოზიტიური ფსიქოლოგია, იყო ეს ის ფაქტორი რაც ხელს უწყობდა პოზიტიური ემოციების ჩამოყალიბებას და განვითარებას ადამიანში, თუ რა შესაძლებლობები არსებობდა ადამიანის პოზიტიურ განწყობაზე დასაყენებლად.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველ რიგში როდესაც არსებობდა პოზიტიური ფაქტორი ხდებოდა კვლევა თუ რა უწყობდა ხელს პოზიტივის წარმოქმნას, ხოლო შემდეგ როდესაც აღნიშნული გახდებოდა უკვე ცნობილი, დაიწყებოდა მუშაობა მის წარმოქმნაზე.

საბჭოს წევრმა გიორგი მუსხელიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული დარგი გახლდათ ახალი, რაც რადიკალურად განსხვავდებოდა ტრადიციული ფსიქოლოგიისაგან, შესაბამისად მას დაინტერესებდა ჰყავდათ თუ არა ამ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის შემქმნელებს არ მიაჩნდათ, რომ აღნიშნული დარგი გახლდათ განსხვავებული ტრადიციული ჰუმანისტური სკოლისაგან. ეს გახლდათ მისი თანამედროვე მიმდინარეობა, რომელიც ემყარებოდა მასლოუს, როჯერსის და ა.შ. ემპირიულ კვლევებს.

საბჭოს წევრი გიორგი მუსხელიშვილი დაინტერესდა ფიგურირებდა თუ არა მათ თანამედროვე მიმდინარეობაში კარლ იუნგის თეორიები.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იუნგის ფსიქოანალიზი უფრო მეტად ეფუძნებოდა ნეგატიურ ასპექტებს. ასევე დასძინა, რომ ისინი იყენებდნენ რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის კომბინაციას და მათი კვლევის საგანი იყო ადამიანის ქცევა, ემოცია და კონდიცია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ბიბლიოთეკას თუ ჰქონდა წვდომა სამეცნიერო ბაზებთან, ვინაიდან დოქტორანტისათვის პუბლიკაციებთან წვდომა გახლდათ მნიშვნელოვანი და აუცილებელი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიბლიოთეკას ჰქონდა წვდომა სამეცნიერო ბაზებთან. ყველა სტუდენტს ავტომატურად გაეხსნებოდა საკუთარი ელექტრონული ფოსტა, რომლის მეშვეობით შეუფერხებლად ექნებოდა საშუალება ესარგებლა ბაზებით და მოეძიებინა მისთვის აუცილებელი მასალა. ასევე შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით უნივერსიტეტს სოლიდური თანხა ჰქონდა გამოყოფილი სამეცნიერო ლიტერატურის შესაძენად.

საბჭოს წევრი რამაზ ჭილაია დაინტერესდა, ექნებოდა თუ არა სტუდენტს ენის შესაბამისი კომპეტენცია იმისათვის რომ გაცნობოდა უცხოენოვან ლიტერატურას და სამეცნიერო ნაშრომებს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიღების წინაპირობა ითვალისწინებდა ენის ცოდნას B2 დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ვინაიდან დარგი გახლდათ ახალი, როგორ იქნებოდა დაკომპლექტებული სადისერტაციო საბჭო და რამდენი პუბლიკაცია მოეთხოვებოდა დოქტორანტს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან კვალიფიკაცია გახლდათ ფსიქოლოგიის დოქტორი, შესაბამისად საბჭოს შემადგენლობაში იქნებოდნენ უმეტესწილად ფსიქოლოგები, ხოლო რაც შეეხებოდა პუბლიკაციებს, დოქტორანტს მოეთხოვებოდა 3 სტატიის გამოქვეყნება. 2017 წლიდან, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი იყო 3 პუბლიკაციის მოთხოვნა, თუმცა პრობლემას ხსნიდა ის გარემოება, რომ ყველა ფაკულტეტს ჰქონდა საკუთარი რეფერირებადი ელექტრონული ჟურნალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიტიური ფსიქოლოგიის - ემპირიული კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა - გიორგი მუსხელიშვილმა.

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიტიური ფსიქოლოგიის - ემპირიული კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ეკა ლეკაშვილმა და დავით სიხარულიძემ.

- პროგრამა გახლდათ ორიენტირებული შრომის ბაზარზე, თუმცა მასში სუსტად იყო წარმოდგენილი სასწავლო ან პროფესიული პრაქტიკის კომპონენტები. სასურველი იყო, სასწავლო კურსების სწავლებისა და შეფასების მეთოდებში გაძლიერებული ყოფილიყო პრაქტიკული სწავლება და თვით სასწავლო პროგრამაში შემოღებული ყოფილიყო პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც დაახლოებდა აკადემიას, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს პროგრამის განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით;

- სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს ენიჭებოდა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი. აღნიშნული კვალიფიკაციის მისაღწევად არსებითად მნიშვნელოვანი იყო ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი რგოლების (ფინანსები, მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, ლოგისტიკა, მარკეტინგი) შესაბამისი სასწავლო კურსების შეთავაზება. პროგრამაში მოცემული იყო ზემოთჩამოთვლილი სასწავლო კურსები ვიწრო სპეციალიზაციის ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის და საკრუიზო ტურიზმის მიმართულებით (მაგ: ფინანსური აღრიცხვა და ანალიზი ტურიზმში, ადამიანური რესურსების მართვა საკრუიზო გემებზე, კრუიზის მენეჯმენტი, მდგრადი ტურიზმის მენეჯმენტი, ტურიზმის მარკეტინგი და ა.შ). ამასთან სასწავლო კურსებს: „ლოგისტიკის მენეჯმენტი ტურიზმში“, „სტრატეგიული მარკეტინგი“ ჰქონდათ არჩევითი და თავისუფალი სასწავლო კურსის სტატუსი.

მიზანშეწონილი იყო დაზუსტებული ყოფილიყო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის ფორმულირება „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი“ კვალიფიკაციით „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტი“, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა პროგრამის დასახელებასთან, მიზნებთან, შედეგებთან და სასწავლო პროგრამის შინაარსთან;

- სასურველი იქნებოდა შემდეგ სასწავლო კურსებს განსაზღვრული ჰქონოდა წინაპირობა. კერძოდ, სასწავლო კურსისათვის „სტრატეგიული მენეჯმენტი“ წინაპირობა ყოფილიყო „მენეჯერული ეკონომიქსი“, ხოლო სასწავლო კომპონენტს „სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა“ წინაპირობად განსაზღვრული ჰქონოდა სავალდებულო სასწავლო კურსები;

- შემუშავებული იყო სპეციალობის მისაღები გამოცდის საკითხები, რომელიც ტარდებოდა ეკონომიკის პრინციპებში. პროგრამული მიმართულებიდან გამომდინარე, სასურველი იყო მისაღები სპეციალობის გამოცდა ჩატარებული ყოფილიყო ბიზნესის საფუძვლებში;

- სასწავლო კურსის სილაბუსებში სწავლის შედეგების შეფასება ხშირ შემთხვევაში საჭიროებდა მეტ სიცხადეს. მაგალითად: სილაბუსებით გათვალისწინებული შუასემესტრული შეფასება ხორციელდებოდა მომზადებული რეფერატის/კვლევის შეფასების საფუძველზე. სილაბუსში წარმოდგენილი იყო აღნიშნული კომპონენტების შეფასებაზე განსაზღვრული ქულის პროცენტული ნაწილი და ქულები, თუმცა დეტალურად რა შემთხვევაში რა ქულა იწერებოდა არ იყო მოცემული. ანალოგიური მიდგომა იყო რეიტინგული შეფასების შემთხვევაში. სასურველი იყო, შეფასების გამჭვირვალობის და ადეკვატურობის სრულყოფის მიზნით ჩაშლილი ყოფილიყო შეფასების ქულების კრიტერიუმები. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი მოიცავდა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურას, სადაც შეფასების 60% იწერებოდა მაგისტრანტის ხელმძღვანელის, ხოლო 40% საჯარო დაცვის შემფასებელი კომისიის მიერ. წესის დანართში მოცემული იყო სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასების კომპონენტები, რომელიც, ასევე მოითხოვდა დეტალიზებას;

- სასწავლო მასალა დაფუძნებული იყო დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფდა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა სასურველი იყო სასწავლო კურსების „საფინანსო მენეჯმენტი საერთაშორისო ბიზნესში“ და „მენეჯერული ეკონომიქსი“ ძირითადი ლიტერატურის განახლება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები უცხოეთის რამდენიმე უნივერსიტეტთან, ჰქონდათ მაღალ დონეზე უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უნივერსიტეტში მოქმედებდა ხარისხის ორი სისტემა, რაც ითვალისწინებდა არამხოლოდ ეროვნული სტანდარტების უზრუნველყოფას, არამედ სპეციფიკიდან გამომდინარე მათ უწევდათ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, აისოს სტანდარტების დაკმაყოფილებაც, რაც მათთვის ქმნიდა გარკვეულ ბარიერებს, თუმცა მისი მოსაზრებით უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით უნივერსიტეტი შეძლებდა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების ერთიან ფორმატში მოქცევას. აღსანიშნავი იყო ასევე პროგრამის განვითარების მიზნით ერთობლივი პროგრამის შემუშავების გეგმაც. როგორც აღინიშნა მათ ჰქონდათ ურთიერთობა რუმინეთის, ბულგარეთის, ესტონეთის და სხვა მრავალ უნივერსიტეტთან. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ პროგრამას არ ჰქონდა პრაქტიკის კომპონენტი, რაც ასევე გამომდინარეობდა საერთაშორისო თანამშრომლობის ასპექტიდან, თუმცა როგორც დამსაქმებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, უნივერსიტეტს ჰქონდა გამოცდილება ბაკალავრიატის დონეზე საერთაშორისო გაცვლითი პრაქტიკის პროექტების განხორციელების და აღნიშნული აქტივობის შესაბამისი რესურსიც გააჩნდა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან აკრედიტაცია მოიაზრებდა განვითარებას, მათ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებით შესაძლებლობა ჰქონდათ კიდევ უფრო მეტად დაეხვეწათ პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მოხდა თუ არა რეკომენდაციების გათვალისწინება და ასახვა პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა იმსჯელა რეკომენდაციების გათვალისწინების საკითხთან დაკავშირებით. პროგრამა შემუშავებულ იქნა ხანგრძლივი მომზადების შედეგად პარტნიორულ ორგანიზაციებთან ერთად აკადემიის გრანტის ფარგლებში, ეროვნულ ექსპერტებთან ერთად ჩართულები იყვნენ საერთაშორისო ექსპერტებიც, რომელთა დასკვნების შედეგად გამოვლენილ იქნა, რომ პროგრამას განვითარებისათვის ესაჭიროებოდა გარკვეული ელემენტები. შესაბამისად გარკვეული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა. კერძოდ განახლებული იქნა ლიტერატურა და რიგ სილაბუსებში განხორციელდა ცვლილებები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორი ხედვა ჰქონდა უნივერსიტეტს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის კვალიფიკაციას ხელი უნდა შეეწყოს დასაქმების პროცესისათვის, შესაბამისად ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაცია გახლდათ მარკეტინგული გათვლა, თუმცა დაწესებულება ნამდვილად არ ეწინააღმდეგებოდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას მის შეცვლასთან დაკავშირებით და იგეგმებოდა მისი შეცვლა.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა თუ რა წინაპირობით მიიღებდნენ სტუდენტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებდა საკრუიზო ტურიზმის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას, საიდანაც ვარაუდობდნენ ხუთი სტუდენტის მიღებას სამაგისტრო პროგრამაზე. ასევე მათი პარტნიორი უნივერსიტეტიდან, კერძოდ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან, ქუთაისის უნივერსიტეტიდან და თავართქილამის უნივერსიტეტიდან ელოდებოდნენ ტურიზმის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა საბოლოო შეფასებასთან დაკავშირებით. რა მოხდებოდა თუ მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი მისცემდა სტუდენტს 51% შეფასებას და 0% საჯარო დაცვის შემფასებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში სტუდენტი ჩაიჭრებოდა ვინაიდან ორივე კომპონენტი იყო სავალდებულო, სტუდენტს უნდა გადაეღებინა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი საჯარო დაცვისათვის, რადგან დაცვა იყო სავალდებულო მაგისტრატურის დასასრულებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 18:50 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა

**თავმჯდომარე**

ელიზბარ ელიზბარაშვილი

**მდივანი**

ანანო გიორგაძე